განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

## შპს კავკასიის უნივერსიტეტი

7-23 თებერვალი 2022

7 მარტი 2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს კავკასიის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205050567 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0312 პოლიტიკის მეცნიერებები დამოქალაქეობრიობის საფუძვლები |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | 25.06.2019, №135 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირაკლი მანველიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ივანნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო. |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 25 ივნისს №135 გადაწყვეტილებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში შპს კავკასიის უნივერს-იტეტის „დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათ-ლებლო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამების შემოწმება წარმოდგენილი (ასევე დამატებით გამოთხოვილი) დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდა 2022 წლის 7-20 თებერვალს. შემოწმებისას, ძირითადი ყურადღება გამახვილდა აკრედიტაციის პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტზე. დაწესებულებამ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად ძირითადად გაითვალისწინა 2019 წელს აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციები.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალვრო პროგრამა **სრულად შეესაბამება** აკრედიტაციის შესაფასებლად წარმოდგენილ 3 სტანდარტს:

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის
შესაბამისობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა;

**სრულად შეესაბამება:** სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა;

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით.
2. სასურველია სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
3. სასურველია სწავლის 5 და 6 შედეგების რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.
4. სასურველია დაზუსტდეს არჩევითი ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალი და მატი რელევანტურობა საერთაშორისო ურთიერთობების დარგისთვის ძირითადი არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსში;
5. რიგ სასწავლო კურსებში სასურველია, დაზუსტდეს წინაპირობები, რათა გათვალისწინებული იქნას სასწავლო კურსებს შორის კონცეფტუალური ბმა.

6. რიგ სასწავლო კურსებში სასურველია შეფასების მეთოდების დაზუსტება, რათა მეტად ეფექტიანად იქნას მიღწეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები;
7. რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება.
8. პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის გაძლიერების მიზნით სასურველია გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა დარგობრივი ჭრილში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში მიხედვით მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის მიზნები. გათვალისწინებულ იქნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის შესაბამისი დონე, ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მიხედვით. განისაზღვრა 4 მიზანი.<br>დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება შეესაბამება დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის მიზნებს, რადგან საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიხედვით დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული მიზნები ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თუ რა ფართო თეორიულ ცოდნას, უნარებს და უწყვეტი პროფესიული განვითარებისკენ მიმართულ კურსდამთავრებულს ამზადებს აღნიშნული პროგრამა, და აქედან გამომდინარე ცხადყოფს რა წვლილის შეტანის პოტენცია აქვს კურსდამთავრებულს საერთაშორისო ურთიერთობების როგორც აკადემიური და სამეცნიერო დარგის, ასევე საზოგადოების განვითარებაში, რაც პასუხობს უნივერსიტეტის მისიას.<br>თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით პროგრამაში წარდგენილი კომპონენტების ერთობლიობა, ძირითადად, იძლევა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევის შესაძლებლობას.<br>პროგრამის მიზნები ძირითადად ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. საბაკალავრო პროგრამის დანართი მოიცავს მიზნების და შედეგების შესაბამისობის რუკას, რომელიც ადასტურებს ურთიერთკავშირს კომპეტენციებსა და მიზნებს შორის.<br>წარმოდგენილი დოკუმენტით - დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის შედარება (benchmarking) უცხოურ პროგრამებთან, არ ჩანს რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებაში გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება, დადარება მოხდა ძირითადად მხოლოდ სტრუქტურის მიხედვით. სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით. |

პროგრამა კურსდამთავრებულს შესაძლებლობას აძლევს, ჰქონდეს პროფესიული კარიერა და დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის, საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებაში ჩართულ სახელმწიფო დაწესებულებებში ან მათ სტრუქტურულ ერთეულებში, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, და ა.შ. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
2. დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.
3. დოკუმენტი - დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის შედარება (benchmarking) უცხოურ პროგრამებთ
4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარება ასევე მოხდეს პროგრამის მიზნების თანხვედრის ნიშნით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის შედეგები, რაც გამოიხატა იმაში რომ გათვალისწინებულ იქნა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში

კვალიფიკაციის სირთულის შესაბამისი დონე ცოდნის, უნარისა და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის მიხედვით. განისაზღვრა 7 სწავლის შედეგი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიხედვით საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგად განისაზღვრა შვიდი შედეგი:

**ცოდნა-გაცნობიერება**

1: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესწავლის საგანს, საკვანძო კონცეფციებსა და თეორიებს.

2: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებსა და ფაქტებს.

3: აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართულ სახელმწიფო, არასახელმწიფო, სახელმწიფოთაშორის და ტრანსნაციონალურ აქტორებს, მათ ბუნებასა და დღის წესრიგს.

4: მსჯელობს საერთაშორისო ურთიერთობებში პროცესებსა და სამთავრობო და არასამთავრობო აქტორთა ქცევებზე საერთაშორისო ურთიერთობებისა და მომიჯნავე დისციპლინების ჭრილში.

**უნარი**

5: **კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით,** პროფესიული ეთიკის სტანდარტების გათვალისწინებით აგროვებს და ამუშავებს ინფორმაციას, და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნა.

6: **ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციას, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმით,** მათ შორის უცხო ენაზე.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

7: გეგმავს, პასუხისმგებლობას იღებს და ეთიკის სტანდარტების დაცვით ახორციელებს ჯგუფურ თუ ინდივიდუალურ სამუშაო პროცესს, განსაზღვრავს საკუთარი ცოდნის გაღრმავებისა და განახლების საჭიროებებს. ავლენს სწავლის შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის საჭირო საკმარის თეორიულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, პროგრამის მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან, სწავლის შედეგები კი ძირითადად შეესაბამება სწავლის საფეხურის აღმწერებს. კურიკულუმში წარმოდგენილ ყველა სასწავლო კურსს წვლილი შეაქვს პროგრამის დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგის მიღწევაში. აქედან გამომდინარე პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად თანხმობაშია პროგრამის მიზნებთან.

მოცემულ სწავლის შედეგები მოითხოვს ტექნიკურ-ორგანიზაციულ და შინაარსობრივ დაზუსტებას, რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. კერძოდ სწავლის 4 შედეგი შეესაბამება უნარს ვიდრე ცოდნა გაცნობიერებას, ხოლო სწავლის 5 და 6 შედეგი მოითხოვს შინაარსობრივ დაზუსტებას და გამართულობას. სწავლის შედეგი ,, **კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენებით,** თუ მივიჩნევთ რომ ეს ერთიანი კონტექსტი, მაშინ იკვეთება სამაგისტრო საფეხურის დონე, რაც შეუსაბამოა საბაკალავრო პროგრამისთვის. ამიტომ **სასურველია** მისი მკაფიოდ შინაარსობრივად ფორმულირება. ასევე საჭიროა სწავლის შედეგის ,,**ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ კომუნიკაციას, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმით,** მკაფიოდ შინაარსობრივად ფორმულირება, ვინაიდან აქ ჭირს გავიგოთ ეს ასახავს კომუნიკაციის უნარს თუ დარგობრივ კომპეტენციას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებში ასევე გაწერილია სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგის გასაუმჯობესებლად. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია სავალდებულო სასწავლო კურსები.

დიპლომატიის საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამა სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირადპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასების დროს გათვალისწინებულია დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებლებზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლებზე პროგრამის საწვლის შედეგებთან მიმართებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამაში მითითებული ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები 4 წლიანი ციკლის განმავლობაში. სილაბუსში აღწერილი შედეგები ითვლება მიღწეულად იმ შემთხვევაში, თუ თითოეული სავალდებულო კურსისათვის მოსწრების შედეგების მიხედვით ჯგუფში დარეგისტრირებულ სტუდენტთა (ჯგუფში არანაკლებ ათი სტუდენტისა) მინიმუმ 80% ფასდება 51 და მეტი ქულით (E - საკმარისი) I კურსზე და 59 და მეტი ქულით (E - საკმარისი) II-IV კურსზე, იმ აუცილებელი პირობით, რომ სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი; ან ჯგუფის საშუალო ქულა არანაკლებ 80%-ია. სასწავლო კურსზე ერთზე მეტი ჯგუფის არსებობისას, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული ჯამური სიდიდით. პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთაც სულ ცოტა ერთი შედეგი აქვთ საერთო. პროგრამა დასახულ შედეგებზე გადის, როდესაც საერთო ნიშნით დაჯგუფებული სასწავლო კურსებისთვის ჯამური საშუალო სიდიდე აღემატება 80%-ს. სწავლის შედეგების მიღწევაზე დაკვირვების პროცესი ეფუძნება თითოეულ სასწავლო კურსში შესაბამის შედეგზე დაკვირვებას, განისაზღვრება შეფასების რომელი კომპონენტებით ფასდება თითოეული მათგანი, მაგალითად, ქვიზით, ტესტირებით, შუალედური გამოცდით, რეფერატით, პრეზენტაციით, დასკვნითი გამოცდით და სხვა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირადპირი მეთოდის ინსტრუმენტებია: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; პროგარამაზე მობილობის მაჩვენებელი; კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით; დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კუსრდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით). აღნიშნულ ინსტრუმენტებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით იგეგმება შემდგომი განვითარების ეტაპები. შეფასების მექანიზმებში ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების გრაფიკი და ის სწავლების საფეხურის ოთხივე აკადემიურ წელს მოიცავს.

თუმცა დოკუმენტის - დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესწავლამ, პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან მიმართების და მათი მიღწევის შეფასების დონეების ნაწილში გამოავლინა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სწავლის 1-ლ შედეგთან - **აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესწავლის საგანს, საკვანძო კონცეფციებსა და თეორიებს“**, ცოდნის ნაწილში განსაზრვრულია შემდეგი შეფასების ინდიკატორები:

- 1. აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებს, როგორიცაა სისტემა, სტრუქტურა და ელემენტები, ომი, კონფლიქტები, მშვიდობა, ეროვნული ინტერესები, საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები, საყოველთაო

სიკეთე, რაციონალური არჩევანი და სხვა.

- 2. განიხილავს და განარჩევს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიულ მოსაზრებებს.
- 3. ანსხვავებს სხვადასხვა თეორიულ სკოლებს კვლევის ფოკუსის, ეპისტემოლოგიის, ონტოლოგიისა და ანალიზის დონეების მიხედვით.
- 4. აღწერს უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროს ძირითად კონცეფციებს, თეორიულ ასპექტებს და პრობლემატიკას.
- 5. ცნობს პოლიტიკური სისტემებისა და სახელმწიფოს მართვის, რეჟიმების, იდეოლოგიების, პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური მონაწილეობისა და არჩევნების ცნებებს ერთეული შემთხვევების თუ შედარებით ჭრილში.
- 6. იაზრებს დემოკრატიული საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს, მოქალაქეთა თანამონაწილეობის/ ჩართულობის ფორმებს და გზებს; გააზრებული აქვს იდივიდუალური და ერთობლივი ჯგუფური მონაწილეობის, როგორც დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი საფუძვლების მნიშვნელობა.
- მოცემულ სწავლის შედეგთან მიმართებით ცალსახად შეუსაბამოა 5 და 6 შეფასების ინდიკატორი, რომელიც ვერ ავლენს კავშირს მასთან შინაარსობრივად. კერძოდ, სწავლის შედეგი არის ,,**აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს შესწავლის საგანს, საკვანძო კონცეფციებსა და თეორიებს“**, ხოლო შეფასების ინდიკატორი არის ,, 5. ცნობს პოლიტიკური სისტემებისა და სახელმწიფოს მართვის, რეჟიმების, იდეოლოგიების, პოლიტიკური კულტურის, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკური მონაწილეობისა და არჩევნების ცნებებს ერთეული შემთხვევების თუ შედარებით ჭრილში.
- 6. იაზრებს დემოკრატიული საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს, მოქალაქეთა თანამონაწილეობის/ ჩართულობის ფორმებს და გზებს; გააზრებული აქვს იდივიდუალური და ერთობლივი ჯგუფური მონაწილეობის, როგორც დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი საფუძვლების მნიშვნელობა“.
- ასევე ითქმის სწავლის მეორე შედეგზე: **,,აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებსა და ფაქტებს“. აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორებია:**
- 1. აღწერს კულტურისა და ცივილიზაციის არსს, არჩევს მათი განვითარების ეტაპებს სიცალურ-პოლიტიკურ ჭრილში, უძველესი დროიდან დღემდე.
- 2. ცნობს მსოფლიოს სულიერი და ფილოსოფიური მემკვიდრეობის ძირითად ძეგლებს, ტენდენციებსა და მიმართულებებს.
- 3. იდენტიფიცირებას უკეთებს დიპლომატიური მოლაპარაკებების, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას და ანალიტიკურ ხედვებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბებიდან დღემდე. მოცემულ სწავლის შედეგთან მიმართებით ასევე არარელევანტურია ინდიკატორი 1-ლი და მე-2. რადგან სწავლის შედეგი არის **,,აღწერს საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე ტენდენციებსა და ფაქტებს“.** ხოლო შეფასების ინდიკატორი არის:
- 1. აღწერს კულტურისა და ცივილიზაციის არსს, არჩევს მათი განვითარების ეტაპებს სიცალურ-პოლიტიკურ ჭრილში, უძველესი დროიდან დღემდე.
- 2. ცნობს მსოფლიოს სულიერი და ფილოსოფიური მემკვიდრეობის ძირითად ძეგლებს, ტენდენციებსა და მიმართულებებს.

წარმოდგენილი სწავლის შედეგები და ზოგიერთი მოცემული მისი შეფასების ინდიკატორი არა რელევანტურია, რაც შეიძლება გახდეს სწავლის შედეგების არა სწორი შეფასების საფუძველი, ამიტომ **სასურველია** სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო, ნათელი და

| |
|---|
| გაზომვადი.<br>საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაცია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში<br>2. დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.<br>3. დოკუმენტის - დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ<br>4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>1. სასურველია სწავლის 1 და 2 შედეგებთან მიმართებით ზოგიერთი შეფასების ინდიკატორის რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი.<br>2. სასურველია სწავლის 5 და 6 შედეგების რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და გაზომვადი. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის | X | | | |

| შესაბამისობა | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტის მიხედვით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად.

დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობებზე ინფორმაცია განთავსებულია პროგრამის აღწერილობაში. პროგრამაზე მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრში. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სახელმწიფო მართვის სკოლის ვებ გვერდზე.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად საჭიროა ინგლისური ენის ჩაბარება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით; საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ვებ-გვერდი - https://cu.edu.ge/ka/schoolss/csg/programs-csg/bachelor-csg/international-

| |
|---|
| relations-bachelor-csg |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>როგორც ირკვევა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს, ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს. დამატებით შესაძლებელია, ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.<br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით, სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.<br>*დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას რაც შეეხება, მის აღწერილობაში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე* სასურველია, დაზუსტდეს გათვალისწინებული თავისუფალი კომპონენტის მოცულობა, რადგან 85 თავისუფალი კრედიტის კომპონენტი შედგება ზოგადსაუნივერსიტეტო და ძირითადი სპეციალობის სავალდებულო დამხმარე კურსებისგან 40 კრედიტის რაოდენობით; ინგლისური ენის სასწავლო კურსებისგან (სავალდებულო) – 20 კრედიტი; პროფესიული ინგლისური სასწავლო კურსისგან (სავალდებულო) - 5 კრედიტი და მეორე უცხო ენის კომპონენტისგან (სავალდებულო) - 20 კრედიტი. იქიდან გამომდინარე, რომ ამ კომპონენტის ფარგლებში 85 კრედიტის დაგროვება ხდება სავალდებულო კურსების |

მეშვეობით, თავისუფალი კრედიტების ათვისებისთვის, მაგალითად, საბაკალავრო საფეხურის სხვა დისციპლინების ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსების არჩევის, გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის ან აღნიშნულ პროგრამაზე მობილობის წესით ჩაბარების შემთხვევაში, შესაბამისი ადგილი არ რჩება.
240 კრედიტიდან 155 კრედიტი ენიჭება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები - 105 კრედიტი, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები - 50 კრედიტი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის დოკუმენტის მიხედვით არჩევითი სასწავლო კურსების სიაში შემოთავაზებულია 15 თავისუფალი კრედიტი. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ პროგრამის აღწერილობაში სასურველია დაკონკრეტდეს თავისუფალი კრედიტების კომპონენტის მოცულობა.
ასევე, ყურადღება მისაქცევია, რომ არჩევითი ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში შემოთავაზებულია ის საგნები, რომლების შესწავლა დიპლომატიის და საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ღირებულია, მაგრამ თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე მეტად ეკუთვნის სხვა მომმიჯნავე დარგებს, მაგალითად, „ორგანიზაციული და ჯგუფური კონფლიქტების მართვა“, „საჯარო ფინანსების მართვა“, „საზოგადოებასთან ურთიერთობა“, „სოციოლოგია“, „შესავალი საჯარო პოლიტიკაში“, „საქართველოს სახელმწიფო მართვა და საჯარო სექტორის რეფორმები“, „ელექტრონული მმართველობა“, „შედარებითი სახელმწიფო მართვა“ და „პროექტის მართვა“.
ამასთან, დასაზუსტებელია სასწავლო კურსების წინაპირობები, რომელიც უზრუნველყოფს შემოთავაზებულ სასწავლო კურსებს შორის კონცეფტუალურ ბმას. მაგალითად, „საერთაშორისო უსაფრთხოების საფუძვლების“ სავალდებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია წინაპირობად განისაზღვროს „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ სავალდებულო სასწავლო კურსი; „ამერიკის საგარეო პოლიტიკის“ სავალდებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში - „დიპლომატიის ისტორია, XX-XXI სს.“. „დიპლომატიის ისტორია XX-XXI სს.“ სავალდებულო სასწავლო კურსისთვის - „დიპლომატიის ისტორია XVII-XIX სს“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის“-თვის - „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“; ასევე სასურველია დაზუსტდეს წინაპირობები არჩევითი კომპონენტის ფარგლებში შემოთავაზებული სასწავლო კურსების შემთხვევაში. ამის გარდა, მიგვაჩნია, რომ სასურველია წინაპირობების ჩამოყალიბება საბაკალავრო ნაშრომის საგნისთვის. შესაძლებელია, გამოიყენოს დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკა და წინაპირობად განისაზღვროს ყველა ძირითადი სასწავლო კურსი.
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და კომპლექსურობა, ძირითადად შეესაბამება სწავლების საფეხურით და კვალიფიკაციათა ჩარჩოს გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხელმისაწვდომი დოკუმენტაციით დასტურდება პროგრამის შესაბამისობა საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია დაზუსტდეს არჩევითი ძირითადი სასწავლო კურსების ფარგლებში შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალი და მათი რელევანტურობა

| |
|---|
| საერთაშორისო ურთიერთობების დარგისთვის ძირითადი არჩევითი სასწავლო კურსების სტატუსში;<br>○ რიგ სასწავლო კურსებში სასურველია, დაზუსტდეს წინაპირობები, რათა გათვალისწინებული იქნას სასწავლო კურსებს შორის კონცეფტუალური ბმა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>როგორც დადგინდა შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკაალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სასწავლო კომპონენტის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი ძირითადად პასუხობს აკადემიურ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა შეესაბამება განსაზღვრულ მიზნებს, სწავლების ფორმატს და კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კომპონენტის ფარგლებში კურსებს გააჩნიათ კრედიტებით დატვირთვა, დამოუკიდებული და საკონტაქტო საათების გადანაწილება, ძირითადად ადეკვატურია სასწავლო კურსების შინაარსი.<br>საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს სთავაზობს მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო კურსებს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილში, რაც უზრუნველყოფს როგორც სფეროს დაუფლებას, ასევე კრიტიკული ანალიზის უნარების განვითარებას. სასწავლო კურსები შინაარსობრივად დაყოფილია ზოგად თეორიულ, დარგობრივ (მათ შორის ქვედარგებისა და მომიჯნავე დარგების), კვლევითი (კვლევის მეთოდები) და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე (მაგ: საინფორმაციო ტექნოლოგიები, აკადემიური წერა, სტატისტიკური ანალიზის საფუძვლები და სხვა.) ორიენტირებულ კურსებად.<br>ამავე დროს, როგორც აღნიშნულია სამაგისტრო პროგრამის შეფასების შემთხვევაში, რიგი სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის შინაარსობრივი დამთხვევების გადამოწმება (დეტალური აღწერისთვის იხილეთ სამაგისტრო პროგრამის ანგარიში). ამასთანავე, ყურადღება მისაქცევია, რომ „აზიის ქვეყნების პოლიტიკის“ არჩევითი სასწავლო კურსის და „დემოკრატიის და მოქალაქეობის“ სავალდებულო სასწავლო კურსის შემთხვევაში სასურველია, დაზუსტდეს შეფასების მეთოდები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ისეთი სწავლის შედეგების მიღწევა, როგორიცაა „კრიტიკულად აანალიზებს და ქმნის აკადემიურ ნაშრომს შორეული |

| |
|---|
| აღმოსავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესახებ“ (აზიის ქვეყნების პოლიტიკა); პრაქტიკული კვლევის მეთოდების გამოყენებით გამონახავს ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე მოქალაქეთა მონაწილეობასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზებს (დემოკრატია და მოქალაქეობის სასწავლო კურსის შემთხვევაში).<br>სილაბუსში მითითებული მასალა დაფუძნებულია საკვანძო როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადად, სასწავლო მასალა წარმოდგენილ სილაბუსებში სტუდენტს საშუალებას აძლევს, დაეუფლოს დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხების საფუძვლიან შესწავლას, ასევე საბაკალავრო ნაშრომის დაგეგმვას და განხორციელებას. ამავე დროს, სასურველია სავალდებულო ლიტერატურის და ინფორმაციის წყაროების განახლება რიგ სასწავლო კურსებში, მაგალითად, „აფრიკის ქვეყნების პოლიტიკა და კონფლიქტები“, „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა“, „ჩინეთის საგარეო პოლიტიკა“ არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ თვითშეფასების ანგარიში. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ რიგ სასწავლო კურსებში სასურველია შეფასების მეთოდების დაზუსტება, რათა მეტად ეფექტიანად იქნას მიღწეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები;<br>○ რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნისა მიცემისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე. პროგრამის ფარგლებში ისწავლება დარგის ცოდნის მიმნიჭებელი სავალდებულო და არჩევითი საგნები; კურიკულუმის ფარგლებში ყურადღება გამახვილებელია ისეთ საგნებზე, როგორიცაა „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, „აკადემიური წერა„, „სტატისტიკური ანალიზის |

მეთოდები“, „კვლევის მეთოდები“. აღნიშნულ სასწავლო კურსებს აქვთ სავალდებულო სასწავლო კურსების სტატუსი. შესაბამისად, მათი სწავლება მყარ საფუძველს ქმნის კვლევის უნარების შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამაში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამომმუშავებელ კურსებზე აქცენტირება აყალიბებს კვლევით, შემოქმედებით და ტრანსფერულ უნარებს. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დარგობრივი ცოდნის და ტრანსფერული უნარების შესაძენად სტუდენტებს აქვთ საშუალება თავად აირჩიონ ის სასწავლო კურსები, რომლებიც შემოთავაზებულია სახელმწიფო მართვის ან სხვა სკოლების მიერ იმავე საფეხურზე. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ამავე ანგარიშის 2.2. ქვესტანდარტის რჩევები პროგრამაში თავისუფალი კრედიტების კომპონენტის თაობაზე.

